პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 250
(6811)
31
1980 წ.
დეკემბერი.
ოთხშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და
სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете
Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინ ახალი მწვერვალებია!

სადაცაა ფინიშის სწორს გადაჰკვეთს 1980 წელი და ესტაფეტას ახალს — 1981-ს გადასცემს.

ამ ორ წელიწადს ისტორიამ განსაკუთრებული მისია დააკისრა. 1980-ს მემატიანენი მოიხსენიებენ, როგორც X ხუთწლედის ბოლო აკორდს, დამაგვირგვინებელ წელიწადს, 1981 კი სკპ XXVI ყრილობის წელიწადად შევა მატიანეში.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც სასახელო მაჩვენებლებით ხვდებიან ამ უდიდესი მნიშვნელობის ფორუმს. ჩვენს ხალხს X ხუთწლედის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულება მხურვალედ მიულოცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა. ეს მილოცვა ყველა მშრომელს, ყველა პატიოსან ადამიანს ეკუთვნის. იმათ, ვინც საკოლმეურნეო ველ-მინდვრებში შრომობდა — ხვავსა და ბარაქას ამრავლებდა, ვინც ფაბრიკა-ქარხნებში დაზგასთან მუხლჩაუხრელი იდგა და ქვეყნისთვის საჭირო პროდუქციას ქმნიდა, ვინც მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების სფეროში იღვწოდა და ახალი აღმოჩენებით და გამოკვლევებით, მაღალ მხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებებით შორს გაჰქონდა რესპუბლიკის სახელი.

ეს მილოცვა საქართველოს ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებსაც ეკუთვნით, მათ, ვინც დიდ ასპარეზზე ვაჟკაცურად იბრძოდა და სასახელო გამარჯვებებით ერთგულად იცავდა საბჭოთა სპორტის ღირსებას.

1980 წელი. ვინ მოთვლის სხვადასხვა რანგის რამდენი სპორტული შეჯიბრება გაიმართა დროის ამ მონაკვეთში, მაგრამ გასული წლის მთავარი მოვლენა, რა თქმა უნდა, იყო ოლიმპიური თამაშები, რომელსაც პირველად უმასპინძლა სოციალისტური ქვეყნის დედაქალაქმა. მოსკოვის ოლიმპიადა მოგვევლინა უდიდეს საერთაშორისო სპორტულ ფორუმად, რომელმაც დიდი როლი ითამაშა სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში, სპორტსმენთა დაახლოებაში, ახალი სპორტული სიმაღლეების დაპყრობაში. საერთო აღიარებით XXII ოლიმპიადა ჩინებულად, ჯერ არნახულ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე ჩატარდა და საბჭოთა სპრტსმენების დიდი გამარჯვებით აღინიშნა. ამ წარმატებაში თვალსაჩინოა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა წვლილიც: საქართველოს 17 ოლიმპიელიდან 12-მა მედალი დაისაკუთრა, მათგან 3 კი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

მიმავალი 1980 წელი საქართველოს სოფლის მეურნეობისა თუ მრეწველობის მუშაკთა დარად, ჩვენი სპორტსმენებისთვისაც ხელხვავიანი გამოდგა — საკავშირო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში მოპოვებულია უმაღლესი ხარისხის 36 მედალი. საერთოდ, გასულ სპორტულ სეზონში საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებათა ჩემპიონი და პრიზიორი გახდა ჩვენი რესპუბლიკის 619 წარმომადგენელი. სპორტული სეზონის ნამდვილი გვირგვინი იყო მოჭადრაკე ქალების გამარჯვება საჭადრაკო ოლიმპიადაზე. გვეამაყება, რომ საბჭოთა ნაკრები ამჯერად მთლიანად ქართველი მოჭადრაკეებით იყო დაკომპლექტებული.

რა თქმა უნდა, ყველა ეს წარმატება, მიღწევები მოპოვებულია სპორტის სპეციალისტების, მწვრთნელების, სპორტსმენების დიდი მეცადინეობით, დაუღალავი შრომით, ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადების 1980 წლის გეგმა — 35 უმაღლესი კლასის სპორტსმენის ნაცვლად მომზადდა 54. გარდა ამისა, სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა 314-მა სპორტსმენმა.

დღეს შეგვეძლო უფრო დაწვრილებით გვესაუბრა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე ჩვენი სპორტსმენების გამოსვლებზე, გაგვეხსენებინა სპორტის ცალკეულ სახეობათა წარმომადგენლების წარმატებები, მაგრამ ამჯერად, ახალი ოთხწლიანი სპორტული ციკლის მიჯნაზე ვდგავართ და სწორედ ამაზე უნდა გავამახვილოთ განსაკუთრებული ყურადღება.

ნიშანდობლივია, რომ ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში ახალი ეტაპი XI ხუთწლედთან ერთად იწყება. ახლა ჩვენს ქვეყანაში ფართოდ განიხილავენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტს — „სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი", სადაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მასობრივი ფიზკულტურის, სპორტისა და ტურიზმის განვითარების საკითხებს. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება არ ჩამორჩეს ცხოვრების რიტმსა და მაჯისცემას, კვლავაც უნდა ვიზრუნოთ მასობრიობისთვის, მშთ ფიზკულტურული კომპლექსისა და საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვისთვის, სასწავლო და საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესებისთვის, სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისთვის, შეჯიბრებათა ხარისხის მკვეთრი ამაღლებისთვის. ამ მხრივ კი ნაკლოვანებები ჯერ კიდევ საკმაოდ გვაქვს. მთელი დატვირთვითა და უკუგებით არ მუშაობენ არსე-

(დასასრული მე-2 გვ.).

საბჭოთა ადამიანების მეხსიერებაში წარუშლელ მოგონებად დარჩება მსოფლიო სპორტის უდიდესი ფორუმის — მოსკოვის ოლიმპიადის დახურვის საზეიმო ცერემონიალი და მისი ბოლო აკორდი: 7-მეტრიანი დათუნია ნელ-ნელა შორდება ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნებს, ემშვიდობება ცრემლმორეულ მაყურებლებს, შემდეგ კი კარგა ხანს სტადიონის თავზე ჰკიდია— თითქოს უჭირსო სამუდამოდ განშორება...

გვემშვიდობება წელი 80, ოლიმპიური წელიწადი, რომელმაც დიდების შარავანდედით შეამკო საბჭოთა ადამიანები — მსოფლიო სპორტის უპირველესი ფორუმის შესანიშნავი ორგანიზატორები, უაღრესად გულთბილი მასპინძლები; ჩვენი სპორტსმენები, რომელთაგან 80 ჭაბუკი და ქალიშვილი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

გვემშვიდობება ოლიმპიური წელიწადი — ჩვენი ხალხის ისტორიაში უმნიშვნელოვანეს წარმატებათა წელიწადი და გზას ულოცავს 1981-ს, ახალი ხუთწლედის პირველ წელიწადს, მომავალი ოლიმპიური ციკლის სასტარტო წელიწადს. სვებედნიერი იყოს ახალი წელი!

1980 წლის სპორტული სეზონის ლაურეატები

საქართველოს სპორტულმა ჟურნალისტებმა და სპორტის სპეციალისტებმა დაასახელეს რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები

10 საუკეთესო სპორტსმენი:

1. ქ. ლოსაბერიძე
(მშვილდოსნობა)

2. ვ. სანეევი
(მძლეოსნობა)

3. მ. ჩიბურდანიძე, ნ. გაფრინდაშვილი, ნ. ალექსანდრია, ნ. იოსელიანი — ქალთა საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებული სსრ კავშირის ნაკრები გუნდი

4. შ. ხაბარელი
(ძიუდო)

5. ვ. ბლაგიძე
(კლასიკური ჭიდაობა)


6. ა. ჩივაძე
(ფეხბურთი)

7. ს. გუნბა
(მძლეოსნობა)

8. ლ. ცოტაძე
(წყალში ხტომა)

9. ნ. დერიუგინი
(კალათბურთი)

10. ნ. კიკილაშვილი, მ. მნათობიშვილი, მ. შილაკაძე — აკრობატთა მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებული სამეული

10 საუკეთესო მწვრთნელი:

ნ. ახალკაცი (ფეხბურთი)
ი. ბიბაური (მძლეოსნობა)
ვ. გურგენიძე (აკრობატიკა)
ი. გუტიაკულოვი (წყალში ხტომა)
ლ. ვეჩხაიზერი (ცურვა)
ზ. მაჩხანელი (სასტენდო სროლა)
გ. მაჟავარიანი (ხელბურთი)
ჯ. მებრელიშვილი (კლასიკური ჭიდაობა)
ო. ნათელაშვილი (ძიუდო)
ო. ფხაკაძე (ველოსპორტი)

შენიშვნა: მწვრთნელთა ათეული მოყვანილია ანბანის მიხედვით.

წინ ახალი მწვერვალებია!

(დასასრული)

ბული სპორტული ბაზები, ხშირად უინტერესოდ, დაბალ დონეზე ტარდება სპორტული ღონისძიებები, რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩებში ადგილი აქვს დისციპლინის უხეში დარღვევების შემთხვევებს, სპორტულ კოლექტივებში მოისუსტებს სპორტსმენებთან იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, არსებულ რეზერვს მაქსიმალურად ვერ იყენებენ სპორტული საზოგადოებები, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, ბევრ ქალაქსა და რაიონში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების დონე ვერ პასუხობს რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების მოთხოვნებს.

მასობრიობა ასეულ ათასობით ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებასთან ერთად დიდი სპორტისთვის რეზერვის მომზადებასაც გულისხმობს. ამ უბანზე კი ჩვენს სპორტსმენებს არაერთი სერიოზული გამოცდა ელით. ახლოვდება ახალი სპორტული სეზონის პირველი დიდი შეჯიბრება — მოსწავლეთა XVI საკავშირო სპარტაკიადა. ამ კომპლექსური ღონისძიებისთვის მზადება ხომ ფაქტიურად ჩვენი სპორტის ხვალინდელი დღისთვის ზრუნვას ნიშნავს. სწორედ დღევანდელ მოსწავლე-სპორტსმენთა საუკეთესო ნაწილმა უნდა იასპარეზოს საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში, შემდეგ კი სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადასა და ოლიმპიურ თამაშებში დაიკავოს წინამორბედთა ადგილი. წარმატებისთვის ერთობლივი, ხელჩაკიდებული მუშაობა გვმართებს და ყველანი უნდა დავირაზმოთ, ვინც თავს ქართული სპორტის ქომაგად მიიჩნევს.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს, რომ კმაყოფილების გრძნობით გავაცილოთ 1980 წელი და ახალი წარმატებების იმედით შევეგებოთ მომავალს. ამის გარანტიას იძლევა ის დიდი ყურადღება და ზრუნვა, რასაც რესპუბლიკის ხელმძღვანელობა იჩენს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისადმი. გვჯერა, რომ ამ ზრუნვის პასუხად საქართველოს ფიზკულტურის და სპორტის მუშაკები, მწვრთნელები, სპეციალისტები, ფიზკულტურელები და სპორტსმენები ენერგიას არ დაიშურებენ, რათა განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანონ ჩვენი ფიზიკური კულტურა, ამრავლონ ქართული სპორტის სასახელო გამარჯვებები.

დაე, ფეხბედნიერი ყოფილიყოს ახალი, 1981 წელი!

იდეოლოგიური ბრძოლის მოწინავე ფრონტზე

„ლექტორობა ადვილი საქმე როდია. ეს ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და რთული საზოგადოებრივი პროფესიაა".

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის პლენუმზე ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის გამოსვლიდან.

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის ამას წინათ გამართულ პლენუმზე სიტყვა წარმოთქვა სკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ. პლენუმზე ისე გლობალურად, ცხადად და ზუსტად ჩამოყალიბდა თანამედროვე ეპოქაში საზოგადოება „ცოდნის" ლექტორთა ამოცანები, რომ უნდა ვაღიარო, ცოტა შევშინდი კიდეც — ვდგევართ კი ამ მოთხოვნების დონეზე ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივი ლექტორები? ისიც ვიფიქრე: ამ პლენუმის ასეთ მაღალ დონეზე ჩატარება ალბათ იმასაც მოწმობს, რომ ლექციური პროპაგანდის დარგში ყველაფერი რიგზე არ არის. სხვა დარგების პროპაგანდისტთა მუშაობის შეფასება ჩემთვის არავის დაუვალებია, მაგრამ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის საქმე რომ უკეთესი მუშაობის სურვილს ბადებს, ეს ცხადზე ცხადია. მოდით, სპორტის პროპაგანდისტებო, პლენუმზე დასახული ამოცანების მიხედვით გადავავლოთ თვალი ჩვენს მუშაობას და დაუფარავად ვთქვათ ავიცა და კარგიც.

რა დონემდე უნდა ამაღლდეთ

ყველას გვაქვს უფლება ვატარებდეთ საზოგადოებრივი ლექტორის მაღალ წოდებას? აი, მოვუსმინოთ, რას მოითხოვს ჩვენგან პლენუმი: „საქართველოს მშრომელთა ყველა წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამეცნიერო, შემოქმედებითი და ტექნიკური ინტელიგენციის მოწინავე რაზმმა, რომელიც რესპუბლიკური საზოგადოება „ცოდნის" ბირთვია. იმაზე, თუ როგორი იქნება ამ დამკვრელური რაზმის, მისი აქტივის საქმიანობის შედეგი, ბევრად არის დამოკიდებული რესპუბლიკის შემდგომი წინსვლა". ლექტორი „ღრმად და საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს რესპუბლიკასა და ქვეყანაში, მთელ მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებში"... „ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებზე—იდეოლოგიურ მუშაკებზე, რომლებსაც უშუალო კონტაქტი აქვთ მშრომელთა კოლექტივებთან, ისინი მოვალენი არიან გააკეთონ გაცილებით მეტი, ვიდრე დღეს, უფრო გულდასმით შეისწავლონ და განაზოგადონ ყოველივე დადებითი, დროზე შენიშნონ და უარყონ ნეგატიური, რომ უფრო მტკიცე იყოს ჩვენი წინსვლა". კიდევ და კიდევ შეიძლებოდა ჩვენზე დაკისრებულ ამოცანათა ჩამოთვლა, მაგრამ ნათქვამიც საკმარისია იმისათვის, რომ კრიტიკული თვალით შევხედოთ ჩვენს საქმიანობას და გაკეთებულით არ დავკმაყოფილდეთ.

მომენტის სადარაჯოზე

შარშან ერთ რაიონში სპორტის პროპაგანდის მდგომარეობას ვამოწმებდი. სალექციო ტექსტები მოვითხოვე. ის სამი ლექცია, რომელიც „ცოდნის" რაიონულ განყოფილებას მარაგში ჰქონდა, შეეხებოდა მე-18 საუკუნის ქართველი მოაზროვნეების შეხედულებებს ფიზიკურ აღზრდაზე, სამამულო ომის პერიოდში ფიზიკური კულტურის როლსა და ფიზიკური აღზრდის ფიზიოლოგიურ საფუძვლებს. ვის შეუძლია უარყოს ამ სალექციო თემების მნიშვნელობა, მაგრამ მაშინ სხვა გარემოებამ მაიძულა საყვედური მეთქვა ადგილობრივი ამხანაგებისთვის. საქმე ისაა, რომ სწორედ მაშინ, უკვე ხელთ გვქონდა ისეთი მნიშვნელოვანი და საქმისთვის საჭირო დოკუმენტები, როგორიცაა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების მასალები და სკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილება იდეოლოგიურ და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებზე, უაღრესად საჭირო იყო მათზე საქმიანი რეაგირება, ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წარმომადგენელთა შორის მათი დებულებების როლის პროპაგანდა, ბრძოლა მათი პრაქტიკაში გამოყენებისთვის, — აქ კი თითქოს დაჩლუნგებოდათ მომენტზე რეაგირების გრძნობა, სპორტის პროპაგანდის მესვეურები თითქოს არც ცხოვრობდნენ ეპოქის კონკრეტული ამოცანებით. იმ ხანად კარზე იყო მომდგარი მოსკოვის ოლიმპიური თამაშები. რეაქციული ძალები ბობოქრობდნენ და მოითხოვდნენ კარტერისეული ბოიკოტის მასშტაბების გაფართოებას, აქ კი, ამ რაიონში ამის გამო დუმდნენ.

აი, სწორედ ეს ფაქტი გამახსენდა, როცა ვეცნობოდი „ცოდნის" ზემოხსენებულ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვას, სადაც ლაპარაკია დღევანდელობის ამოცანებით სუნთქვის დიდ მნიშვნელობაზე. პლენუმმა მოგვაგონა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავი, პარტიის XXVI ყრილობისათვის მზადების კამპანია, XI ხუთწლედში ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი. ამ დებულებებიდან გამომდინარე, ჩვენ გვევალება ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის წარმომადგენლებს კონკრეტული წინადადებები მივაწოდოთ და ამ წინადადებათა პრაქტიკაში დანერგვის გზები ვუჩვენოთ.

მასალების ნაკლებობით სპორტის ვერც ერთი პროპაგანდისტი ვერ გაიმართლებს თავს. გაზეთმა „ლელომ" აღნიშნულ საკითხებზე არაერთი მეთოდური წერილი გამოაქვეყნა, მომავალი წლის დასაწყისში კი პროპაგანდისტები მიიღებენ საზოგადოება „ცოდნის" ბროშურას საქართველოში 60 წლის მანძილზე ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების გზების შესახებ.

დიახ, დღეს სხვებთან ერთად სპორტის პროპაგანდისტებიც ამ ცხოვრებისეული ამოცანების ხორცშესხმისთვის ბრძოლის წინა ხაზზე უნდა დადგნენ!

დღეში შვიდი ლექცია (?!)

„ჯერ კიდევ არიან ლექტორები, რომლებიც რაოდენობას გამოდევნებულნი, დღეში შვიდ ლექციას კითხულობენ ხარისხის ხარჯზე. რა არის ეს, თუ არა თვალის ახვევა?" — ვკითხულობთ ზემოხსენებული პლენუმის ანგარიშში. ეს უპრეცედენტო შემთხვევა ლექციების ხარისხთან დაკავშირებით მოიხსენიეს. ფაქტია: ლექციის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი თვით ლექტორის სინდისია. მხოლოდ ამ თვისებას მოკლებული კაცი იკადრებს დღეში შვიდჯერ შევიდეს აუდიტორიაში. დარწმუნებული ვარ, ასეთ ვაილექტორს სალექციო ტექსტიც არ ექნება შედგენილი და დამტკიცებული (რაკი სალექციო ტექსტები ვახსენე, აქვე უნდა დავუმატო: არ დარჩენილა რაიონი, სადაც საზოგადოება „ცოდნის" დავალებით არ შემემოწმებინა სალექციო ტექსტები და ისინი მხოლოდ აქა-იქ აღმოვაჩინე როგორც სასიამოვნო გამონაკლისი).

ახლა ბევრი იწერება ლექციების ხარისხის შესახებ, მაგრამ პრაქტიკულად ცოტა რამ კეთდება სასურველი დონის მისაღწევად. ვის, თუ არა სპორტის პროპაგანდისტს, აქვს ამოუწურავი შესაძლებლობანი ლექციების გამრავალფეროვნებისთვის. სპორტი, თავისი ემოციური ნიუანსებით, დიდ შესაძლებლობებს იძლევა ამისოდ. მაგალითად, კინოფირს, როგორც ლექციის შემავსებელ თვალსაჩინო მასალას, მხოლოდ ერთეულები თუ იყენებენ. სპორტის პროპაგანდისტს აქვს იმის საშუალებაც, რომ აუდიტორიას თანამომხსენებლად წარუდგინოს დიდი სპორტსმენები, რომლებიც თემატურად შეავსებენ მის ნაამბობს. ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებად ვეძებთ ლექციური პროპაგანდის ახალ ფორმებს. პროპაგანდის ლექციური ფორმა ყველა მსმენელს ერთნაირად იზიდავს. ამაზე გარკვევით ითქვა საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობის პლენუმზე, რომელიც რესპუბლიკური პლენუმის მომდევნო დღეს ჩატარდა. შემდეგ კი ტრესტ „ინჟშენის" თანამშრომელთა აუდიტორიაში პირველად ვცადე ამგვარი ექსპერიმენტი: თემაზე — „მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების შედეგები და კარტერისეული ბოიკოტის კრახი" მხოლოდ ოციოდე წუთი ვილაპარაკე, როგორც იტყვიან, მსმენელები „ჩავითრიე", დანარჩენი კი მათთან უშუალო კონტაქტისას ვთქვი. იყო შეკითხვები, აზრთა გაზიარება, კამათი, ორივე მხარე — ლექტორიც და მსმენელებიც დიდად კმაყოფილნი დავრჩით.

მაგრამ არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომლის მოგვარების გარეშე შეუძლებელია ამაღლდეს ლექციური პროპაგანდის ხარისხი, ამასთან, იგი შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ პარტიის რაიკომების, აღმასკომებისა და ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციების უშუალო დაინტერესების გზით. საქმე ისაა, რომ ხშირად, ადგილობრივი ხელმძღვანელობის უყურადღებობის გამო, დაწესებულება ძალზე არაორგანიზებულად ხვდება ლექტორს. მსმენელებს მხოლოდ ლექტორის მისვლის შემდეგ ეძებენ. ხშირად აუდიტორიაში 5-6 კაცი ძლივს გროვდება. ხელმძღვანელები, როგორც წესი, ლექციაზე შემოსვლას არ კადრულობენ. არის შემთხვევები, როდესაც ლექტორს საკმაოდ უხეშად ხვდებიან, ზოგჯერ საქმე შეურაცხყოფამდეც მიდის. სპორტის პროპაგანდაში ისედაც მცირეა ლექტორების რაოდენობა, ზემოხსენებულმა ფაქტორმა კი საზოგადოებრივი მუშაობის ამ დარგს ბევრი კარგი ლექტორი ჩამოაშორა.

ლექციური პროპაგანდის ხარისხისთვის ბრძოლა ერთობლივი საქმეა. ბრძოლის დევიზი უნდა იყოს: ვეცადოთ ავამაღლოთ ლექციების ხარისხი მისი რაოდენობის შენარჩუნებით, მაგრამ თუ ეს შეუძლებელი გახდება, სჯობს რაოდენობა შეეწიროს ხარისხს.

ლექციური პროპაგანდის ხარისხი უშუალოდაა დამოკიდებული ლექტორთა მომზადების სწორ სისტემაზე. ცნობილია, რომ დღემდე არ არსებობს სპეციალური დაწესებულება ან ფაკულტეტი, რომელიც სპორტის პროპაგანდისტებს მოამზადებდა, მხოლოდ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტმა მისცა ეს სპეციალობა 8 სტუდენტს, რაც, ცხადია, საკმარისი არ არის. ურიგო არ იქნება, თუ თბილისისა და რესპუბლიკის დიდი საწარმო-დაწესებულებები შეარჩევენ სპორტის საკითხებში ასე თუ ისე კარგად ჩახედულ მუშაკებს (ასეთების მოძებნა დღეს ძნელი არაა) და გამოგზავნიან მათ ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში საზოგადოებრივი პროფესიების ფაკულტეტზე, რომელიც სიამოვნებით გახსნიდა მათთვის სპეციალურ განყოფილებას. ეს კი საშუალებას მოგვცემდა გაგვეზარდა რიცხვი პროპაგანდისტებისა, რომლებიც ადგილებზე გაუძღვებოდნენ სპორტის პროპაგანდის საქმეს.

დავიწყებული უბანი

საზოგადოება „ცოდნის" ზემოხსენებულმა პლენუმმა კიდევ ერთხელ გაგვახსენა პროპაგანდისტული მუშაობის ზოგიერთი მივიწყებული უბანი. დღეს ძველებურად მუშაობა აღარ გვარგებს, განსაკუთრებით მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებში, — ითქვა პლენუმზე.

მართლაც, რამდენ შესაძლებლობას ვუშვებთ ხელიდან, როდესაც ვივიწყებთ ისეთ სასარგებლო ღონისძიებებს, როგორიცაა სტუდენტ-სპორტსმენთა ინტერნაციონალური საღამოები, სპორტსმენთა საშეფო ღონისძიებანი სამხედრო ნაწილებთან, ლექტორების და სპორტსმენთა ბრიგადების ჩასვლა სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლებით ჭარბად დასახლებულ რაიონებში და სხვანი. ჩვენ, ლექტორებს, მხედველობის გარეშე გვრჩება ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — წვევამდელებთან, სკოლების დამამთავრებელ კლასებში ლექციები მოზარდთა პატრიოტული აღზრდის მიზნით. ისტორიას ჩაბარდა ის დრო, როდესაც სამგორის გასაწვევ პუნქტში, ადრე ნავთლუღს რომ ვეძახდით, საჭირო ლექციებს ვატარებდით ხოლმე სპორტსმენთა გმირობაზე დიდ სამამულო ომში, სპორტის დიდ როლზე სიძნელეების დაძლევაში და ა. შ.

პლენუმზე ითქვა აგრეთვე ჩვენთვის მეტად საგულისხმო და ანგარიშგასაწევი სიტყვები: „ყველა იდეოლოგიურმა მუშაკმა, მათ შორის საზოგადოება „ცოდნის" ლექტორებმა, რომლებიც იდეოლოგიური ბრძოლის მოწინავე ფრონტზე არიან, ადამიანებს უნდა დაანახონ მტრული პროპაგანდის სიყალბე და ცილისწამება, ნათელი და პოპულარული ფორმით ამხილონ მისი ვერაგული ხერხები და მეთოდები". ეს მითითება სპორტის პროპაგანდისტებსაც ეხება, განა ცოტაა საბჭოთა სპორტული მოძრაობის სახელის გატეხვის ცდები? ჯერ მარტო მოსკოვის ოლიმპიური თამაშების მიმართ კარტერის უდღეური ბოიკოტის ინსცენირება რად ღირს. ყოველივე ამას სათანადო პასუხი უნდა გავცეთ, ნათელი უნდა მოვფინოთ მსოფლიოს სპორტულ მოძრაობაში გამართული იდეოლოგიური ბრძოლის დედაარსს.

ლექტორობა ერთ-ერთი ყველაზე საპატიო და რთული საზოგადოებრივი პროფესიაა, — გვითხრეს მაღალი ტრიბუნიდან. ამასთან, გამოითქვა რწმენა, რომ საზოგადოება „ცოდნა" და მისი აქტივი პარტიის საიმედო საყრდენი გახდება. სპორტის ყველა პროპაგანდისტის, ყველა ლექტორის ვალია, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ პარტიის საიმედო საყრდენი გახდეს.

ა. ციბაძე,

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზკულტურული მოძრაობის მართვისა და ისტორიის კათედრის პროფესორი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" გამგეობის წევრი.

წოდებათა მინიჭება

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის მოთხოვნათა შესრულებისთვის საკავშირო სპორტკომიტეტმა **„სსრ კავშირის საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის"** წოდება მიანიჭა:

ტრეკზე ველორბოლაში — ი. **ზიმენკოვს** (თბილისი, „შრომითი რეზერვები"),

„სპორტის ოსტატის წოდება" მიანიჭა:

ტრეკზე ველორბოლაში — ა. **ცხოვრებაძეს** (თბილისი, „კოლმეურნე"), ვ. **კოკაევს**, ზ. **ჟურულიშვილს** (ორივე — თბილისი, „შრომითი რეზერვები"), ს. **გლაზოვს**, ე. **ლუკაშოვს** (ორივე — თბილისი, „განთიადი"), დ. **ნაზაროვს**, გ. **მუმლაურს** (ორივე — თბილისი, „ბურევესტნიკი"), რ. **გუძს** (გულრიფში, „კოლმეურნე"), ნ. **რამიშვილს** (ქუთაისი, „კოლმეურნე"), გ. **კორძახიას** (თბილისი, „დინამო") და ვ. **ლისოვსკის** (ქუთაისი, „დინამო").

ცურვაში — ი. **მუჟიჩენკოს** (თბილისი, „შრომითი რეზერვები"), ს. **ბოროდინს**, ვ. **ყოჩიაშვილს**, პ. **კოხრეიძეს** (ყველა — რუსთავი, „განთიადი"), მ. **კაპლანს**, ვ. **კეკჩიდის** (ორივე — თბილისი, „განთიადი").



დაამტკიცე, რა შეგიძლია...

ქართველი სპორტსმენების საახალწლო დალოცვა ხელმადლიან და გულღია მუშა კაცს, თბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხნის მეკოპეთა ბრიგადირს, სოციალისტური შრომის გმირს გიორგი კურტანიძეს ვთხოვეთ.

უცხო კაცს, თხოვნით მისულს თუ ცნობისმოყვარეს, უკვე შესჩვევია კურტანიძეების ოჯახი. გიორგი კურტანიძე ხომ 1967 წლიდან საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო, ახლა კი სსრ კავშირის IX მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გახლავთ.

როგორ უძლვება ამოდენა საქმეს, ან ამგვარ სახელ-დიდებას როგორ ზიდულობს ეს ტანმორჩილი კაცი? — იყო პირველი გაფიქრება, შემდეგ კი აღარაფერი გამკვირვებია.

— „მე ყოველთვის ჩემს მოვალეობას ვასრულებ!" — ათას კითხვაზე ეს პასუხი აქვს გიორგი კურტანიძეს.

დიდზე დიდი მოვალეობის გრძნობა და დიდზე დიდი პასუხისმგებლობაა მისი ძალისა და ძლიერების წყარო, რომელიც დედის კალთიდან დაჰყოლია ოჯახის უფროს შვილს. ამიტომ იყო, თანატოლზე ადრე რომ დათმო საქონლის ბალნისაგან დაგორგილი ფუმფულა ბურთი, კავ-გუთანს მოეკიდა და საკეცე ტალახს დაუწყო ბუზნა.

ომში წასულიყო ოჯახის მამა, წასულიყვნენ სოფლის მარჩენალები, უიმათოდ უჭირდათ ქვრივობლებს და საკაცო საქმეს მოეკიდა გიორგი.

მას აქეთ ოთხი ათეული წელი გასულა.

— ალბათ აქტიურ სპორტს მისდევთ და ამიტომ ვერაფერს გაკლებთ წლები? — ვცადე საუბრისათვის საჭირო მიმართულება მიმეცა.

— წლები კი არა, წუთები გვაბერებს. სჩანს, ბედნიერების, იმედის, სიხარულის, აღმაფრენის და გამარჯვების წუთი მეტი მქონია. სპორტსმენობას ვერ დავიჩემებ, უფრო მეტად გულშემატკივარი ვარ. ჩვენს „დინამოს", ჩვენს ჭადრაკის დედოფალსა და „პრინცესებს" ვგულშემატკივრობ, და საერთოდ, ქართულ სპორტს ვქომაგობ.

მახსოვს, ადრე, ქარხნის ახლოს, მოედანზე სახალხო ჭიდაობები იმართებოდა ხოლმე. მოდიოდნენ გლდანელები, ახლომახლო უბნელები და იყო ზარ-ზეიმი. მერე თანდათან გაქრა ამგვარი სარბიელები. არადა, რამდენი თვითნაბადი ტალანტი გამობრწყინებულა ამ სტიქიურ შეჯიბრებებზე.

ადრე თითქოს ქარხანაც უფრო სისხლსავსე სპორტული ცხოვრებით ცხოვრობდა. სადღეისოდ, მთლიანი რეკონსტრუქციის გამო, სტადიონიც დაინგრა და მთლად მიჩუმდა მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა.

სპორტი თავის გამოჩენის საშუალებას აძლევს კაცს. დგები ათასობით, მილიონობით მაყურებლის თვალწინ და საშუალება გეძლევა დაამტკიცო, რა შეგიძლია, რისი ღირსი ხარ.

— მშრომელმა კაცმა კი მთელი თავისი ფანტაზია, შესაძლებლობა საქმეს უნდა დაახარჯოს, რათა მეტი სისადავე და სილამაზე შემატოს მას. ადამიანები დალოცავენ ოსტატს. ჯერ ერთი მოიწონებს მის ნახელავს, მერე მეორე, მესამე, მეათასე... თუმცა ათასი მაინც ცოტაა. საყოველთაო აღიარებისათვის მილიონებია საჭირო. ვიდრე ნახელავი მილიონების ხელში გაივლიდეს, დიდი მოთმინება გმართებს, თავდადება და მოთმინება.

ქალაქში მიმავალი შვილი ომიდან დაბრუნებულმა მამამ შეაგულიანა: „გმირობა სახალხო საქმეში თავის გამოჩენაა, სხვა არაფერი", მაგრამ ადვილი რომ არ იქნებოდა თავის გამოჩენა და გმირობა, ეს უთუოდ იცოდა გიორგი კურტანიძემ.

— და მაინც, თქვენი წარმატების საიდუმლო? — ხშირად ეკითხებიან მეკოპეთა ბრიგადირს.

— ფაციფუცით ჯერ საქმე არ გაკეთებულა. დინჯი, აუჩქარებელი, მაგრამ გულიანი მუშაობაა საჭირო. მთავარია სტაბილურობა, თანმიმდევრობა, თანაზომიერი, საშუალო ტემპის ბოლომდე შენარჩუნება, ძალების თანაბრად განაწილება მთელი დღის მანძილზე.

სპორტშიც ხომ ასეა, სანეევსაც როგორც ჩანს, მიუგნია ჩვენი საიდუმლოსათვის. დინჯად, თანმიმდევრულად, ძალების გამოზოგვით მიიწევდა დიდებისაკენ. ვიზიარებ იმ აზრს, რომ ვიქტორის მოსკოვური ოლიმპიური მედალი ნამდვილი გმირობაა. თუ გნებავთ, შრომითი გმირობა.

შეგიძლიათ ჩემი „უბერებლობა" მის გამარჯვებასაც მიაწეროთ. მახსენდება ჩვენი კალათბურთელების შეხვედრა ლენინგრადის „სპარტაკთან". მეტად დაძაბული ორთაბრძოლა გამოვიდა. მთელ მეორე ტაიმს სუნთქვაშეკრული ვუცქეროდი, ბოლოს ერთბაშად ამოვისუნთქე. რამდენი ლამაზი და ბედნიერი წუთი იყო გასულ წელს. მოსკოვის ოლიმპიადა... ან სხვა სპორტული ასპარეზობანი... არ ცხრებიან სპორტსმენები, ზეადამიანური რეკორდებისკენ მიისწრაფვიან და ჩვენც მათ შევყურებთ. თითქოს მათგან ველით დამუხტვას, შთაგონებას, წაქეზებას, რომ მეტი შევძლოთ, მიღწეულს არ დავჯერდეთ.

— თქვენი საახალწლო სურვილები?

— საერთო გამარჯვებებისა და წინსვლის ყოფილიყოს 1981 წელი — დიდი საქმეების, დიდი სტარტების დასაწყისი. ბედნიერება, სიხარული, „უბერებლობა" მოგვიტანოს.

მანანა კარტოზია.

წლის ლაურეატები

ევროპის 25, ამერიკის 4, აფრიკის 3, აზიისა და ავსტრალიის 2-2 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა დასავლეთ გერმანიის სააგენტოს „ინტერნაციონალე შპორტ-კორესპონდენცის" პოპულარულ ანკეტაში, რომლის მიზანი იყო 1980 წლის საუკეთესო სპორტსმენთა დადგენა.

ხმების უმრავლესობით წლის საუკეთესო სპორტსმენ ქალად აღიარეს ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი 1500 მეტრზე რბენაში ტ. კაზანკინა (სსრკ).

ლაურეატთა შორის არიან, აგრეთვე „ოლიმპიადა-80-ის" ზამთრისა და ზაფხულის თამაშების სხვა პრიზიორები: მოცურავე ბ. კრაუზე (გდრ), ტანმოვარჯიშე ნ. კომენეჩი (რუმინეთი), მოთხილამურეები: ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი) და ა. მოზერ-პრიოლი (ავსტრია), მოციგურავე ბენტ ჰაიდენი, ფიგურული სრიალის ოსტატი ი. როდნინა (სსრკ) და სხვები.

ვაჟთა შორის წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულია ამერიკელი მოციგურავე ერიკ ჰაიდენი. შემდეგ მოდიან ეთიოპიელი სტაიერი მ. იფტერი, საბჭოთა მოცურავე ვ. სალნიკოვი, ინგლისელი მორბენალი ს. ოვეტი, პოლონელი ჭოკით მხტომელი ვ. კოზაკევიჩი, შვედი სამთო მოთხილამურე ი. სტენმარკი, იტალიელი სპრინტერი პ. მენეა, საბჭოთა ტანმოვარჯიშე ა. დიტიატინი და კუბელი მოკრივე თ. სტივენსონი.

პოლონეთის ბეჭდვითი ორგანოების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ვინ არის წლის საუკეთესო სპორტსმენი ევროპაში"? კონტინენტის 22 სააგენტო მონაწილეობდა. 20 ქვეყნის წარმომადგენლებმა 49 სპორტსმენი დაასახელეს. ხმების უმრავლესობით კონტინენტის 1980 წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს 20 წლის ლენინგრადელი სტუდენტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვ. სალნიკოვი.

ტ. კაზანკინა ქალთა შორის წლის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს ავსტრიის გაზეთ [illegible] კრონენ ცაიტუნგის" [illegible] ნაწილეებმაც. ამ გამოკითხვის შედეგად ხუთეულში შევიდნენ სამთო მოთხილამურე ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი), მოცურავე ბ. კრაუზე (გდრ), ჩოგბურთელი კ. ევერტი (აშშ) და სამთო მოთხილამურე ა. მოზერი (ავსტრია). ვაჟთა შორის გაზეთმა პირველობა მიაკუთვნა მოციგურავე ე. ჰაიდენს (აშშ).

10 საუკეთესო სპორტსმენი დაადგინა ფრანს პრესის სააგენტომაც. მისი ანკეტის მიხედვით პირველ ნომრებად გავიდნენ: ქალთა შორის — მოცურავე ბ. კრაუზე (გდრ), ვაჟთა შორის — მოციგურავე ე. ჰაიდენი (აშშ). ათეულებში შევიდნენ აგრეთვე საბჭოთა სპორტსმენები ტ. კაზანკინა, ე. დავიდოვა, ნ. ოლიზარენკო, ვაჟებში — ვ. სალნიკოვი და ა. დიტიატინი.

ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ 1980 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად აღიარა მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონი, ლენინაკანელი ი. ვარდანიანი, რომელმაც თამაშებზე მსოფლიოს ხუთი რეკორდი გააუმჯობესა.

გაირკვა საბჭოთა კავშირში სპორტის ტექნიკურ და სამხედრო-გამოყენებით სახეობებში წლევანდელი 10 საუკეთესო სპორტსმენის ვინაობა. პირველ ნომრად აღიარეს ტყვიის სროლაში ოლიმპიური ჩემპიონი ი. სოკოლოვი (უფა), შემდეგ მოდიან ბიატლონში ოლიმპიური ჩემპიონი ა. ალიაბიევი (ლენინგრადი), ტყვიის მსროლელები ა. მელენტიევი (ფრუნზე), მოსკოველი ვ. ვლასოვი, პარაშუტისტი ნ. უშმაევი (თბილისი), რომელმაც მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა და სხვები. ასეთია გაზეთ „სოვეტსკი პატრიოტის" ანკეტის შედეგები.

უსაზღვრო სპორტის გეოგრაფია

1960 წლის ნოემბრის დასაწყისში თბილისში თბილი ამინდი იდგა. კიროვის პარკში ჩვეულებრივზე მეტ ხალხს მოეყარა თავი. მიზეზი გახლდათ მოსკოვის ბალეტი ყინულზე, რომელშიც ფიგურული ციგურაობის წარსულში ცნობილი ოსტატები გამოდიოდნენ. უკვე მაშინ, თბილისელები შესაფერისად აფასებდნენ ყინულზე მოციგურავეთა ოსტატობას. პარკში შეკრებილთა შორის ბევრი ნატრობდა, რომ ქართველი გოგონები და ბიჭებიც ეხილა ყინულის საფარზე მოსრიალე. მათგან ძალიან ცოტამ თუ იცოდა, რომ სტუმრების მიერ მოწყობილ ყინულის სარბიელზე, სპექტაკლისგან თავისუფალ დროს გაუბედავად დასრიალებდნენ თბილისელი ბავშვები. ასე დაიბადა ჩვენში სპორტის ეს სახეობა. სწორედ იმ წელს, ივლისში ჩვენს დედაქალაქში სამუშაოდ ჩამოვიდა მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ახალკურსდამთავრებული ედუარდ პლინერი. ედუარდმა თვითონ მოითხოვა გამოეგზავნათ. ახალგაზრდა სპეციალისტმა კარგად იცოდა, რომ ყამირზე მიემგზავრებოდა, რადგან მთავარი — ყინულის მოედანი — თბილისში ჯერ კიდევ არ არსებობდა. ეს კი იგივეა, რომ ადამიანს ცურვა შეასწავლო ხმელეთზე. მხოლოდ დიდი მოთმინების და ნებისყოფის ადამიანი შეძლებდა ასეთ პირობებში ამგვარი პასუხისმგებლობა ეკისრა. ვარჯიში ასფალტზე დაიწყო. ციგურების მაგივრად მოსწავლეებმა გორგოლაჭები მოირგეს. ამის შემხედვარე ზოგიერთმა ქილიკზე გაფაციცებულმა მწვრთნელსა და მის აღსაზრდელებს „ფიგურული მოგორგოლაჭეები" შეარქვა. „მოგორგოლაჭეებიც" შემთხვევიდან შემთხვევამდე (როგორც ჩვენი წერილის დასაწყისში აღვნიშნეთ) თბილისში ჩამოსულ გასტროლიორებს ეკედლებოდნენ, ხოლო ზამთრობით ბაკურიანში მიდიოდნენ და „დინამოს" ბაზების წინ ბუნებრივ ყინულზე სწავლობდნენ ფიგურული ციგურაობის ანბანს. უკვე ერთი წლის შემდეგ, ქართველმა ფიგურისტებმა მონაწილეობა მიიღეს ალმა-ათაში გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში — „9 რესპუბლიკის" მატჩში. ახალბედები საბოლოოდ გათამაშების ცხრილის შუაში აღმოჩნდნენ და სპეციალისტთა ყურადღებაც მიიქციეს, ხოლო კიდევ ერთი წლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე რესპუბლიკას ჩასათვლელი ქულები მოუტანეს. ეს იმდროინდელ პირობებში დიდ წარმატებას თუ არა, მუხლის გამაგრებას მაინც ნიშნავდა. ქართული ფიგურული ციგურაობის პიონერთა ბირთვი ასეთი იყო: ნანა მანჯგალაძე, ზურაბ ალავიძე, იური კუკულაძე, ირინა არხანგელსკაია, მარინე ცინცალაძე, მანანა წივწივაძე, მარინე ბუაჩიძე, თამარ მჟავანაძე, თენგიზ ხანიაშვილი, ჯემალ ჯალიაშვილი, ირაკლი ჯაფარიძე. იმ პირველი თაობიდან დიდ წარმატებას ირაკლი ჯაფარიძემ მიაღწია. იგი 11 წლისა იყო, როდესაც ედუარდ პლინერთან დაიწყო ვარჯიში, ერთი წლის შემდეგ საქართველოს ჩემპიონი გახდა და ეს ტიტული შემდეგ ზედიზედ შვიდჯერ მოიპოვა. 1963 წელს მოსკოვში გამართულ მოზარდთა საკავშირო ჩემპიონატში თბილისელმა სპორტსმენმა გაუსწრო შემდეგში ფიგურული ციგურაობის ისეთ აღიარებულ ოსტატებს, როგორიც იყვნენ იური ოვჩინიკოვი, სერგეი ვოლკოვი, სერგეი ჩეტვერუხინი და პირველი ადგილი მოიპოვა. ეს კი სპეციალისტებისთვისაც მოულოდნელი იყო, რადგან თბილისში ჯერ კიდევ არ არსებობდა საციგურაო დარბაზი. გარდა ირაკლი ჯაფარიძისა, საკავშირო შეჯიბრებებში წარმატებით მონაწილეობდნენ გია იაშვილი, ნოდარ სარაჯიშვილი და ქეთინო გუჯაბიძე.

და აი, 1964 წელს, საქართველოს განათლების სამინისტრომ სპეციალიზებული საციგურაო სკოლა გახსნა. ასრულდა დიდი ხნის ოცნება. მაგრამ... სტანდარტულ ზომას (60X30) ჩვენი დარბაზი (27X27) სანახევროდაც ვერ უტოლდებოდა. მცირე ზომის მოედანი შესაფერი იყო მხოლოდ მცირეწლოვანთათვის. მერე და მერე, ასაკისა და ოსტატობის ზრდამ ასპარეზის გაფართოება მოითხოვა. შესაფერისი მოედნის უქონლობა ძალზე აფერხებდა წინსვლას. გახშირდა ტრავმები. ქართველი ფიგურისტები თვეობით მიემგზავრებოდნენ რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში შეკრებაზე, ვარჯიშობდნენ და საქართველოს ჩემპიონატებსაც იქ ატარებდნენ. ამასთან ერთად, ბევრ საერთაშორისო შეჯიბრებებშიც გამოიჩინეს თავი. განსაკუთრებით თვალსაჩინო წარმატება კი მაშინ მოვიდა, როცა ქართველ ფიგურისტთა პირველმა თაობამ აქტიური სპორტული კარიერა დაამთავრა. ბევრმა მათგანმა სერიოზულად მოჰკიდა ხელი საწვრთნელ მუშაობას. ახალ ამპლუაში განსაკუთრებით გამობრწყინდა ირაკლი ჯაფარიძის ნიჭი. მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა სტანისლავ ჟუკმა ქალთა ციგურაობის პრობლემებზე საუბრის დროს თქვა: „არ ვეთანხმები პესიმისტებს, რომლებიც ამტკიცებენ, ამ სახეობაში უიმედოდ ჩამოვრჩებითო. ამჟამად ჩვენთან დიდ ყურადღებას აქცევენ ქალებთან მუშაობას. მინდა დავასახელო ორი მწვრთნელი, ლენინგრადელი ალექსი მიშინი და თბილისელი ირაკლი ჯაფარიძე — ისინი ახალ გზებს ეძებენ". ცნობილი მწვრთნელის ასეთი შეფასება განაპირობა იმ წარმატებამ, რასაც 1972 წლის შემდეგ მიაღწია ქართულმა საციგურაო სკოლამ. ამ წელს მარინე ცერცვაძემ გოგონათა შორის საბჭოთა კავშირის ჩემპიონობა მოიპოვა. მომდევნო წელს კი ახალგაზრდებს შორის III ადგილი დაიკავა. როსტოვში მარინემ საბჭოთა ქვეყნის ფიგურული ციგურაობის ისტორიაში პირველად შესრულა სამმაგი ბრუნი (სალხოვი), რომელსაც სულ რამდენიმე სპორტსმენი ასრულებდა მსოფლიოში. მარინემ ჩვენს რესპუბლიკაში ასევე პირველმა მოიპოვა სპორტის ოსტატის წოდება ამ სახეობაში. კიდევ ერთი წლის შემდეგ ირაკლი ჯაფარიძის აღსაზრდელმა საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადაზე ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა და ჩვენი ქვეყნის ნაკრებში დაიმკვიდრა ადგილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარინეს წარმატება 1975 და 1976 წლებში, როდესაც მან ორჯერ ჩამოიტანა საბჭოთა კავშირის თასი თბილისში. ამ წარმატების შემდეგ „სოვეტსკი სპორტი" წერდა: „ცერცვაძემ სრიალის მაღალი სიჩქარეები და ორნახევრიანი ბრუნის რთული ნახტომების უზადოდ შესრულება აჩვენა... მარინემ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა საკმაოდ ძლიერ და გამოცდილ მეტოქეებთან ჭიდილში... წარმატებით იასპარეზა ჯაფარიძის მეორე აღსაზრდელმა ლია გაბელაიამ... სამწუხაროდ, თავიანთ შესაძლებლობებზე ბევრად სუსტად იასპარეზეს ლენინგრადელმა ფიგურისტებმა გალკინამ, სტრელკოვამ.... ეს მდგომარეობა მეტად დამაფიქრებელია. ლენინგრადში ხომ ვარჯიშისთვის გაცილებით უკეთესი პირობებია, ვიდრე საქართველოში, სადაც ნორმალური ზომის ხელოვნური საციგურაოც კი არ არის".

და მართლაც, ქართველმა ფიგურისტებმა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ხუთეულში დაიმკვიდრეს ადგილი. ამ სკოლაში აღზრდილებმა ნოდარ სარაჯიშვილმა, თამარ ჯოქიამ, მარინე ცერცვაძემ, ლია გაბელაიამ, მიშა სიხარულიძემ, გია შანჟულაშვილმა, ინგა ბუთიკაშვილმა, ანდრეი ტოროსიანმა, ვლადიმერ თავაძემ, ქეთევან მაჭავარიანმა, ონისე რუხაძემ, ბადრი ყურაშვილმა მრავალ საერთაშორისო თუ საკავშირო შეჯიბრებებში გამოიჩინეს თავი. აქედან უმეტესობა საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაკრების შემადგენლობაშიც შედიოდა.

სკოლამ ახლახან დაარსების 20 წლისთავი აღნიშნა. ამასთან დაკავშირებით რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელს ნაკრების უფროს მწვრთნელს ირაკლი ჯაფარიძეს ვთხოვეთ ეამბნა სკოლის დღევანდელობაზე და პრობლემებზე.

— დღეს სკოლაში 300-ზე მეტი მოზარდი მეცადინეობს. ბავშვებს ვიღებთ 5 წლის ასაკიდან. ფიგურული ციგურაობის პოპულარობა იმდენად გაიზარდა, რომ 120 მოსწავლის მისაღებად 800-900 ბავშვის გასინჯვა გვიხდება.

სკოლამ ოცი წლის მანძილზე 11 სპორტის ოსტატი, 50 სპორტის ოსტატობის კანდიდატი და 100-მდე პირველთანრიგოსანი აღზარდა. აქ მომზადდა 8 რესპუბლიკური და 3 საკავშირო კატეგორიის მსაჯი, მსაჯთა კოლეგიებს ხელმძღვანელობს საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, პროფესიით ექიმი გია იაშვილი. გიას ხშირად იწვევენ როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებზე. სკოლაში 13 მწვრთნელი, 6 ქორეოგრაფი და 2 აკრობატი მუშაობს. ჩვენი აღსაზრდელები ლია სამხარაძე და ნელი დვალიშვილი ამას წინათ საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. ნაკრების უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე ვედენინი მათ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს. მოგეხსენებათ, ჩვენი მუშაობის მთავარ ხელშემშლელ მიზეზად კვლავ რჩება ის, რომ არა გვაქვს სტანდარტული მოედანი. ეს საკითხი მრავალჯერ დაისვა მაღალ ინსტანციებში. და აი, როგორც იქნა ამ საშვილიშვილო საქმეს მსვლელობა მიეცა: რესპუბლიკის პროფკავშირების თაოსნობითა და უშუალო მხარდაჭერით მალე დასრულდება დარბაზის პროექტი, რომლის მიხედვითაც აშენდება 2 სტანდარტული მოედანი — ერთი სავარჯიშო, ხოლო მეორე — სადემონსტრაციო. უკვე შემოღობეს მიწის ნაკვეთი მტკვრის სანაპიროზე, — გვითხრა დასასრულს ირაკლი ჯაფარიძემ.

საღამოობით, 9 საათის შემდეგ, ყინულის საფარზე ნორჩი ჰოკეისტები გამოდიან. ჭეშმარიტად დიდი სიყვარულია საჭირო, რომ ბავშვებმა ძილის მაგივრად გვიანობამდე ყვანჯებით სდიონ შაიბას... ქართული ციგურაობის საიუბილეო წელმა, თავის მხრივ, დასაბამი დაუდო ქართულ ჰოკეის. მართლაც უსაზღვროა სპორტის „გეოგრაფია".

ჯ. კასრაძე.

• • •

სურათებზე: სხვადასხვა ასაკის ფიგურისტთა მეცადინეობის მომენტები; ქვევით — ი. ჯაფარიძე მორიგ გაკვეთილს ატარებს ყველაზე პატარებთან.

ავტორის ფოტოები.

● ჭადრაკი

ჩემპიონატები, ჩემპიონატები...

ქალთა...

ალმა-ათაში უმაღლესი ლიგის მოჭადრაკე ქალთა სსრ კავშირის მე-40 ჩემპიონატის გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ ლიდერობენ: ლენინგრადელი ი. ლევიტინა და კიეველი ლ. სემიონოვა, რომლებსაც 2,5-2,5 ქულა აქვთ. ლევიტინამ მოიგო მესამე ტურიდან გადადებული პარტია ლვოველ მ. ლიტინსკაიასთან. დანარჩენი გადადებული პარტიების შედეგები ასეთია: თ. მინოგინამ (მოსკოვი) დაამარცხა ქ. მელაშვილი (თბილისი), ტ. ზატულოვსკაიამ (მოსკოვი) ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ე. ეპშტეინთან (კლაიპედა), ტ. ქივაევამ (ალმა-ათა)—გ. სტრუტინსკაიასთან (მოსკოვი), ნ. გურიელმა (თბილისი) — მინოგინასთან, ლიტინსკაიამ — ე. ბელოვასთან (ლენინგრადი), მინოგინამ — ლიტინსკაიასთან. ლ. ზაიცევამ (მოსკოვი) — დაამარცხა მელაშვილი და ზ. ლელჩუკი (ლვოვი), ე. ფათალიბეკოვამ (მოსკოვი) — სტრუტინსკაია, ხოლო ლ. მუჩნიკმა (პერვომაისკი) — ქივაევა.

ვაჟთა...

ვილნიუსში მოჭადრაკე ვაჟთა უმაღლესი ლიგის 48-ე ჩემპიონატის სამი ტურის შემდეგ დაწინაურდა მინსკელი ვ. კუპრეიჩიკი. მესამე ტურში მან მოუგო ი. რაზუვაევს (მოსკოვი), ხოლო სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ყაიმზე შეთანხმდნენ ს. მაკარიჩევი (მოსკოვი) — ნ. რაშკოვსკი (ალმა-ათა) — ი. ბალაშოვი (მოსკოვი) — ო. რომანიშინი (ლვოვი), ს. ლპუტიანი (ერევანი) — გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი); ვ. ჩეხოვმა (მოსკოვის ოლქი) მოუგო სსრ კავშირის ჩემპიონს ე. გელერს (მოსკოვის ოლქი), ლ. ფსახისმა (კრასნოიარსკი) — ა. ბელიავსკის (ლვოვი). ტურნირს ერთპიროვნულად ლიდერობს კუპრეიჩიკი, რომელსაც 3 ქულა აქვს.

ევროპის...

ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში IX ტურში მერვე გამარჯვება მოიპოვა შვედმა რ. აკესონმა. მან მორიგ შეხვედრაში შოტლანდიელი პ. მოტვანი უკვე 21-ე სვლაზე აიძულა დანებებოდა. აკესონს 8,5 ქულა აქვს და ლიდერობს ევროპის ჭაბუკთა ჩემპიონატში. მეორე ადგილზეა საბჭოთა მოჭადრაკე კემეროვოელი ე. პიგუსოვი, რომელიც აკესონს ქულით ჩამორჩება. ამ ტურში მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბულგარელ ს. დანაილოვთან. ყაიმით დასრულდა, აგრეთვე, მეორე საბჭოთა მოჭადრაკის ნ. ანდრიანოვის პარტია უნგრელ ტ. კაროლისთან. 7 ქულით ანდრიანოვი III-V ადგილებს იყოფს დანაილოვსა და ისლანდიელ ი. არნასონთან ერთად. ჩემპიონატზე სულ 13 ტური უნდა გაიმართოს.

● ფეხბურთი

„სეზონის თასის" გათამაშება განახლდება

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" რედაქციამ 1977 წელს დააწესა საინტერესო პრიზი — „სეზონის თასი" ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონსა და თასის მფლობელს შორის. იდეა რედაქციას მიაწოდა საქართველოს დამსახურებულმა ინჟინერმა, ქობულეთელმა მ. კოპეიკოვსკიმ. პრიზი იმავე წლის ნოემბერში გათამაშდა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე მოსკოვისა და კიევის დინამოელთა შორის. თასის პირველი მფლობელები გახდნენ მოსკოველები.

შემდგომ წლებში „სეზონის თასი" აღარ გათამაშებულა. დასანანი კია, ვინაიდან მასში მონაწილეობის უფლება ორჯერ ჰქონდა თბილისის „დინამოს", პირველად როგორც სსრ კავშირის ჩემპიონს და მეორედ — როგორც თასის მფლობელს.

ახლა დამზადდა ახალი პრიზი. 1981 წლის დასაწყისში მის დასაუფლებლად მოსკოვის 45-ათასიან გადახურულ სტადიონ „ოლიმპიურზე" ერთმანეთს შეხვდებიან 1980 წლის ჩემპიონი — კიევის „დინამო" და თასის მფლობელი — დონეცკის „შახტიორი".

ცოტაც, დათო!

მუდამ ყურადღებით ვადევნებთ თვალს გამოჩენილი საბჭოთა ფეხბურთელის გ. ფედოტოვის სახელობის ასიანთა კლუბში მომხდარ ცვლილებებს. ყოველი სიახლე ფეხბურთის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს.

სულ ახლახან „ფუტბოლ-ხოკეიში" გამოქვეყნდა სტატისტიკოს კ. ესენინის წერილი კლუბის წევრთა ახალი მაჩვენებლების შესახებ.

პირველ ადგილზე დაწინაურდა კიევის „დინამოს" თავდამსხმელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ბლოხინი, რომელმაც პირველმა დაძლია 200-გოლიანი ზღვარი. მან 144 ბურთი გაიტანა სსრ კავშირის ჩემპიონატებში, 29 — სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თამაშისას, აგრეთვე, ოლიმპიურ თამაშებზე, 15 — საერთაშორისო თასების მატჩებში და 13 — სსრ კავშირის თასზე.

მეორე ადგილზე მყოფი ნ. სიმონიანი („სპარტაკი", მოსკოვი) მას საგრძნობლად—22 ბურთით ჩამორჩება. სამაგიეროდ, „ძველი გვარდიის" წარმომადგენელი ა. პონომარიოვი ინარჩუნებს პრიორიტეტს საკავშირო ჩემპიონატებში გატანილი გოლებით — 152.

ასიანთა კლუბში არიან ქართველი ფეხბურთელებიც: ა. ღოღობერიძეს გატანილი აქვს 134 ბურთი, ზ. კალოევს — 131, ბ. პაიჭაძეს — 125, ს. მეტრეველს — 113, გ. ნოდიას — 110.

გამოქვეყნებულია საპატიო კლუბის კანდიდატთა სიაც, რომელსაც სათავეში უდგას თბილისის დინამოელი დ. ყიფიანი. საკავშირო ჩემპიონატებში მან გაიტანა 68 ბურთი, სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში — 5, საერთაშორისო თასებზე — 9 და სსრ კავშირის თასზე — 7, ესე იგი სულ — 89.

ეჭვი არ გვეპარება 1981 წლის საფეხბურთო სეზონში დ. ყიფიანი შეასრულებს გ. ფედოტოვის სახელობის კლუბში მოხვედრისთვის საჭირო ნორმატივს: რაღა დარჩა, სულ 11 გოლი.

ცოტაც, დათო!

ფეხბურთის მოყვარულები:
ვ. აბულაძე, თ. კერძაია, ა. თუმასიანი.

● ციგურაობა

მედეოს მაღალმთიან საციგურაოზე, სადაც ქვეყნის ნაკრების შესარჩევი შეჯიბრება მიმდინარეობს, ე. კულიკოვამ („ბურევესტნიკი") 500 მეტრზე საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (37,45) მოიპოვა. 1000 მეტრზე ს. ხლებნიკოვმა (შეიარაღებული ძალები) სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა — 1.13,86. 5000 მეტრზე თავი გამოიჩინა ლენინგრადელმა ს. ბალაშოვმა — 6.54,95. ეს 2 წამით აღემატება ნორვეგიელი კ. სტენსჰელმეტის ოფიციალურ მსოფლიო მიღწევას.

● სათხილამურო სპორტი

კრასნოგორსკში გრძელდება საკავშირო შეჯიბრება თხილამურებით რბენასა და ბიატლონში სპორტკლუბ „ზორკის" პრიზებზე, ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბოლა მოიგო რ. სმეტანინამ (სოფლის სპორტსაზოგადოებების ნაკრები) — 29.16,18. წინა დღის გმირი ნ. შამაკოვა („ტრუდი") ფინიშთან მეორე იყო — 29.48,33, მაგრამ მან მაინც შეძლო ქვეყნის ნაკრების წევრების რ. ხვოროვასა („დინამო", 29.51,98) და გ. კულაკოვას („ტრუდი", 30.07,86) დამარცხება.

ვაჟთა შორის 15 კილომეტრზე ასპარეზობაში იმარჯვა ი. ბურლაკოვმა („ბურევესტნიკი") — 39.48,07.

20 კილომეტრზე რბოლაში (4 საცეცხლე პოზიციიდან სროლით) წარმატებას მიაღწია ს. ქურავლიოვმა (შეიარაღებული ძალები) იგი 3 წუთით დაჯარიმდა, მაგრამ პირველობა მაინც მოიგო — 1:10.57. 3X7,5 კილომეტრზე ესტაფეტაში ყველას აჯობა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა (ა. ჩუვაშოვი, ა. ზენკოვი, ი. ალექსეევი) — 1:25.03,93.

● ხელბურთი

საფრანგეთში დაიწყო სტუდენტ ხელბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი. საბჭოთა ნაკრები „ბ" ჯგუფში გამოდის და შეხვედრებს მართავს ქ. რუანში. ჩვენი გუნდი დაკომპლექტებულია საკავშირო პირველობის უმაღლესი ლიგის მონაწილე 6 კლუბის სპორტსმენებით. მათ სტარტზე დაამარცხეს საფრანგეთის მეორე გუნდი — 31:18 (17:10). ამ შეხვედრაში თბილისის „ბურევესტნიკის" მოთამაშემ ტაბიძემ ექვსჯერ აიღო მეტოქის კარი. ამავე ჯგუფში იაპონელებმა სძლიეს კონგოელებს — 39:23.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ა" **ჯგუფი.** უნგრეთი — ბელგია — 29:20, საფრანგეთი I — აშშ — 28:17. „ც" **ჯგუფი.** ბულგარეთი — ლოტარინგია — 25:22, იტალია — იუგოსლავია — 15:29. „დ" **ჯგუფი.** რუმინეთი — საფრანგეთი III — 27:19, გფრ—ისრაელი — 28:19.

● მძლეოსნობა

ლენინგრადის მძლეოსანთა ზამთრის პირველობაზე მოსკოვის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ნ. ბოჩინამ 100 მეტრი 11,2 წამში გაირბინა. ეს შედეგი ახალი საკავშირო მიღწევაა დახურული შენობებისათვის. სამხტომში მაღალი შედეგი აჩვენა არმიელმა ვ. ისაევმა — 16,50 მ.

პანორამა

● ციგაობა

ჩუსოვოიში დამთავრდა საკავშირო ჩემპიონატის I ტურის შეხვედრები ციგაობაში. ქალთა შორის წარმატებას მიაღწია ი. ამანტოვამ, რომელმაც 3 დაშვების ჯამში 2.31,808 დახარჯა. II ადგილზეა ოლიმპიური ჩემპიონი ვ. ზოზულია (ორივე — რიგა) — 2.32,121. III — ჩერემისინა (ალმა-ათა) — 2.32,157.

ვაჟთა შორის დაწინაურდა მოსკოველი ს. დანილინი, რომელმაც 1000-მეტრიან დისტანციაზე სამი დაშვებით 2.49,38 დრო აჩვენა. შემდეგ ადგილებზე არიან მისი თანაქალაქელი ვ. იაკუშინი (2.49,741) და ლენინგრადელი ვ. ტერეშჩენკო — 2.51,029.

ვაჟები ორადგილიანი ციგებით 901-მეტრიან ტრასაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. რიგელებმა ი. ესაკსმა და ე. ვეიკშამ ორი ცდის ჯამში ხელთ იგდეს ლიდერობა — 1.38,755.

● წყალბურთი

საუკეთესო არბიტრები

წლევანდელი შეჯიბრებების შედეგების მიხედვით სსრ კავშირის წყალბურთელთა ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა 10 საუკეთესო არბიტრის სია. ესენი არიან: ვ. რაშმაჯანი (მოსკოვი), ზ. ჩარუნასი (კაუნასი), ვ. ვეშელინი (ოდესა), ე. შილოვი (ლვოვი), ი. ჩარუნასი (კაუნასი) ვ. ვეშელინი (უჟგოროდი), დ. პოპოვი, ე. ტროიცკი (ორივე — მოსკოვი), ა. კუზნეცოვი (ჩელიაბინსკი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

● კალეიდოსკოპი



● **სპორტის** ტექნიკური სახეობები სულ უფრო მტკიცედ მკვიდრდება ქალთა შორის. 25 წლის ინგლისელმა რ. ნოტმა ხკუტერით სისწრაფის მსოფლიო რეკორდი დაამყარა — საათში 109,465 მილის სიჩქარე განავითარა. ეს შედეგი 7 მილზე მეტით აღემატება ადრინდელ მსოფლიო მიღწევას.

● **კანადელი** ავტომობილისტები, მძღოლი გ. ხოუერბაი და შტურმანი კ. ლენგლი ახალი მსოფლიო რეკორდის დამყარებას იმედოვნებენ. მათ განზრახული აქვთ მსოფლიოს ირგვლივ 77 დღეში შემოუარონ.

სურათებზე: რ. ნოტი სარეკორდო შეჯიბრების დროს; გ. ხოუერბაი და კ. ლენგლი თავიანთი მანქანით.

საკდესის ფოტოქრონიკა.



სხვადასხვა

ინგლისელმა დუნკან გუდვეიმ, რომელმაც მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე ოქროს მედალი მოიპოვა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში, ახალ ამპლუაში სცადა ძალა: მან ვარჯიში დაიწყო ბობსლეიში. გუდვეის პირველი ნათლობა, როგორც ბობსლეისტისა, მოხდა ვინტერბერგში (გფრ). მისმა პარტნიორმა რიჯერ პოტერმა განაცხადა: „გუდვეი ნიჭიერი მოწაფე აღმოჩნდა, მას ახლავე შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ევროპის წლევანდელ პირველობაზე".

□

გორგოლაჭებიან ციგურებით ჰოკეიში მსოფლიო ჩემპიონის სახელი მეცხრედ მოიპოვა ესპანეთის ნაკრებმა.

□

ჩეხოსლოვაკიაში წლის საუკეთესო ველომრბოლელად დაასახელეს 24 წლის არმიელი სპორტსმენი ირჟი შკოდა, რომელმაც მოსკოვის თამაშებზე 100 კმ-ზე საგზატკეცილო რბოლაში ბრინჯაოს მედალი მოიგო.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი

დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტის სტუდენტებს შეახსენებს, რომ 1980-1981 სასწავლო წელს ლექციები პრაქტიკული მეცადინეობები და საგამოცდო სესიები ჩატარდება შემდეგი განრიგით:

I-II — კურსელებისთვის 5-19 იანვრის ჩათვლით, III-IV-V — კურსელებისთვის — 15 იანვრიდან 3 თებერვლის ჩათვლით;

საკონტროლო და საკურსო შრომების სარეცენზიოდ მიღება წყდება ორი კვირით ადრე სესიების დაწყებამდე, გამოძახება ხელფასის შენარჩუნებით შვებულების მისაღებად ეძლევათ სტუდენტებს, რომლებმაც სესიამდე ერთი კვირით ადრე დაფარეს დავალიანებები საგნებში და ჩათვალეს ყველა საკონტროლო შრომა და სარეცენზიოდ გადასცეს საკურსო შრომები.

სტუდენტები ვალდებულნი არიან მეცადინეობის დაწყებამდე გამოცხადდნენ დეკანატში რეგისტრაციისათვის და წარმოადგინონ პროფილით მუშაობის შესახებ შრომის ამონაწერი, შემოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან ამავე ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მუშაკის ხელის მოწერით და ბეჭდით, ამონაწერში უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამუშაოზე მიღებული პირი ამჟამადაც განაგრძობს მუშაობას, ასევე უნდა აღინიშნოს ამონაწერის გაცემის თარიღი.

სწავლაში ხელის შემშლელი მიზეზები სტუდენტებმა შეკრების დაწყებამდე უნდა აცნობონ ფაკულტეტის დეკანატს (დაზღვეული წერილით ან პირადად). განცხადებას ამის თაობაზე თან უნდა ერთოდეს განცხადებაში მოყვანილი ფაქტების დამადასტურებელი საბუთიც.

დაგვიანებით წარმოდგენილი (ან გამოგზავნილი) განცხადებები და საბუთები, აგრეთვე შუამდგომლობები აკადემიური შვებულების მისაღებად, იმავე კურსზე დატოვების ან სესიის ვადის გაგრძელების თაობაზე მხედველობაში არ მიიღება.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-53; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-55; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93- 93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ჭოშარაულის, 29.
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 ~~15~~ 16 17
ИНДЕКС 66435
უე 10459